ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №463685

ნომერი: AR196571

თარიღი : 05.12.2012

გაცემის თარიღი : 10.12.2012

გაცნობის თარიღი : 11.12.2012

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ჯიქია , N 6 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რობიზონ გეთიაშვილი პ/ნ 01014005996
- თბილისი, ლ.ანდრონიკაშვილის ქ. N23

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 60 კვ.მ-მდე ფართობის 5 მ-მდე სიმაღლის და 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რაზედაც გაცნობებთ: 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად I კლასს განეკუთვნება: ა) 60 მ2 მდე სართულების იატაკის დონეებზე განაშენიანების ჯამური ფართობის, 5 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 2 მ-მდე ჩაღრმავების მქონე შენობა; ბ) 20 მ2-მდე მოცულობის, 10 მ-მდე სიმაღლისა და გრუნტის ზედაპირიდან საშუალოდ 10 მ-მდე ჩაღრმავების მქონე ნაგებობა; გ) გრუნტის ზედაპირიდან 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე; დ) შენობა-ნაგებობა, რომლის მალის, ფერმის ან სხვა კონსტრუქციული ელემენტის სიგრძე ნაკლები ან ტოლია 5 მ-ისა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო შენობის განაშენიანების ფართობი ცდება 60,0 კვ.მ.–ს (და უტოლდება 75,0 კვ.მ.–ს), საპროექტო შენობა–ნაგებობა ცდება I კლასის მახასიათებელს და განეკუთვნება ისეთ ობიექტს, რომლის მშენებლობაც საჭიროებს მშენებლობის ნებართვის გაცემას მისი სამივე სტადიის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში თუ გსურთ, რომ საპროექტო ნაგებობა განეკუთვნოს I კლასს, ამისათვის უნდა დაიცვათ I კლასის მახასიათებლები და შენობის განაშენიანების ფართი უნდა დაიყვანოთ 60.0 კვ.მ.-მდე, რომლის შესაბამისად წარმოსადგენი იქნება განახლებული ფოტომონტაჟი, დეტალურად ზომებისა და მასალის დატანით. მონტაჟზე ასევე უნდა დაფიქსირდეს დგარებს შორის მანძილი და გაითვალისწინეთ, რომ მათ შორის სიგრძე ნაკლები ან ტოლი უნდა იყოს 5 მ-ისა. ასევე "ფაილის მიმაგრება" ველში უნდა ატვირთოთ საკადასტრო გეგმა, საპროექტო ობიექტის განთავსების ადგილის მონიშვნით;

ასევე გაითვალისწინეთ რომ თქვენს მიერ არჩეული ნომეკლატურა არასწორია და არჩეული ნომენკლატურის ნაცვლად უნდა შეარჩიოთ - "მცირე არქიტექტურული I კლასი - მცირე არქიტექტურული ობიექტები" – "ფანჩატური" - ქმედებები "ახალი მშენებლობა", ნომენკლატურის ცვლილებისათვის ისარგებლეთ ნომენკლატურის ცვლილების ღილაკით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.